**accadèmico** 1. *agg* 1) აკადემიური; *anno* ~ აკადემიური (სასწავლო) წელი; 2) საუნივერსიტეტო; *corpo* ~ ჰროფესურა; *consiglio* ~ სამეცნიერო საბჭო; 2. *m* აკადემიკოსი.

**accadére** *v* მოხდენა, შემთხვევა, დამართება.

**accadùto** 1. *agg* მომხდარი; 2. *m* შემთხვევა; *dimmi l'~* მითხარი, რა შეგემთხვა, რა მოხდა.

**accalappiacàni** *m* უპატრონო ძაღლების დამჭერი.

**accalappiàre** *v* 1) ცხოველების ქამანდით დაჭერა; 2) *გად.მწ.* გაცურება, გაბრიყვება.

**accalcàrsi** *v* ხალხის თავშეყრა, მოგროვება.

**accaldàrsi** *v* გახურება, შეფაკვლა (*მაკალითად, სირბილის დროს*).

**accaldàto** *agg* შესურებული, შეფაკული.

**accampaménto** *m* 1) კემპინგი; 2) *სამხ.* ბანაკი; ~ *profughi* ლტოლვილთა ბანაკი.

**accampàr||e** *v* *გად.მწ.* წინ წამოწევა, წამოყენება; ~ *pretese* ჰრეტენსიების წამოყენება; ~ *si* დაბანაკება, დროებით დაბინავება (*სამხედროებისაგ*); ~ *si all'aperto* ღია ცის ქვეშ დაბანაკება; ~ *si in casa di qd* ვისიმე სახლში დროებით ჩასახლება, დაბინავება, ბინის დაღება.

**accaniménto** *m* 1) მძვინვარება, გააფთრება, გაშმაგება, გაცეცხლება; 2) შეუზოვრობა, გამმაგება.

**accanìrsi** *v* 1) გააფთრება, გამძვინვარება, გაშმაგება; 2) საქმეს მკერება, ძალისხმევით საქმის კეთება.

**accanito** *agg* გააფთრებული, გამძვინვარებული, გაშმაგებული; **combattimento** ~ გააფთრებული ბრძოლა.

**accànto** 1. *avv* ახლოს, გვერდით, მახლობლად; *sedere* ~ გვერდით ჯდომა; 2. *prep* : ~ *a* -თან; ~ *alla casa* სახლთან; ~ *a te* შენთან, შენს გვერდით.

**accantonàre** *v* გვერდზე გადაღება; ~ *una somma* ფულის გადანახვა; ~ *un problema* პრობლემისთვის გვერდის ავლა.

**accaparràr||e** *v* 1) დაბეჭება, ბეს მიცემა;

2) წინასწარ შეძენა, მომარაგება; ~ *si* 1) დაბეჭება; წინასწარ მომარაგება; ~ *si qc* რაიმეს წინასწარ მომარაგება; 2) *გად.მწ.* სიმპათიის გამოწვევა, დამსახურება; ~ *si i voti* არჩევნებში ხმების მოპოვება.

**accapigliàrsi** *v* ერთმანეთის თმებში წვდომა; წაჩხუბება.

**accappatòio** *m* საღათი; ზენუარი.

**accarezzàr||e** *v* 1) ალერსი, მოფერება; ხელის გადასმა; 2) მოლამუნება; *il vento le accarezzava i capelli* ქარი თმებზე ელამუნებოდა; 3) ძლიერი სურვილის ქონა; ~ *sogni di gloria* დიდებისაკენ სწრაფვის სურვილის ქონა; ~ *si* ერთმანეთის მოფერება, ერთმანეთის ალერსი.

**accartocciàr||e** *v* ქაღალდის ჰარკის გაკეთება (*მზესუმზირისა და მისთანათა ჩასაყურელად*); ~ *si* დახვევა, დაგრავნა; *le foglie si accartocciano per la siccità* ფოთლები სიმშრალისაგან იგრავნებიან.

**accasàr||e** *v* 1) დაოჯახება; ~ *una figlia* ქალიშვილის გათხოვება; 2) დაბინავება; ~ *si* ოჯახის შექმნა, დაოჯახება.

**accasàto** *agg* დაოჯახებული; დაქორწინებული; გათხოვილი.

**accasciàr||e** *v* 1) დასუსტება, ძალის გამოცლა, დაუძლურება; 2) დაცემა, დავარდნა, წაქცევა. ~ *si* სულით დაცემა, ~ *si al suolo* მიწაზე დაცემა, წაქცევა.

**accasciàto** *agg* 1) დაუძლურებული, ძალა-გამოცლილი, დასუსტებული, დაკნინებული (*მორალურად*); 2) დაცემული, დავარდნილი, წაქცეული.

**accatastàre** *v* 1) ერთმანეთზე დაწეობა, ერთმანეთზე დალაგება, შტაბელებად დაწეობა (*წიგნების, შემოსა და მისთ.*); 2) აღრიცხვა, კადასტრში შეტანა.

**accattabrighe** *mf* ჭინჭელი, ჭირვეული, შარიანი, ჩხუბისთავი, შფოთისთავი, მოჩხუბარი.

**accattàre** *v* მათხოვრობა, მოწყალების თხოვნა.

**accattivànte** *agg* სიმპათიური, სიმპათიის გამომწვევი; მოსაწონი; მიმზიდველი, სასიამოვნო; *un sorriso* ~ მიმზიდველი ღიმილი.

**accattivàr||e** *v* სიმპათიის გამოწვევა; ~ *si* ვინმეს სიმპათიის დამსახურება, სიმპათიის მიზერობა.

**accattóne** *m* ღარიბი, ღატაკი, მათხოვარი.

**accavallàr||e** *v* ერთიმეორესე დაწობა, დალაგება; დასროება; ~ **le gambe** ფეხის ფეხზე გადადება; ~ **si** დასორაება, გროვად დადგომა; ~ **si di pensieri** თავში აზრების აბნევა, არევა.

**accecaménto** *m* 1) სიბრმავე, დაბრმავება; 2) *ჯად. მწ.* თვალის მოჭრა, დაბრმავება.

**accècànte** *agg* დამაბრმავებელი, თვალისმომჭრელი.

**accècàre** *v* 1) დაბრმავება, მხედველობის დაკარგვა; 2) დაბრმავება, თვალის მოჭრა; 3) *ჯად. მწ.* დაბრმავება, შეცდომაში შეყვანა, ცდუნება; გონების დაბნელება.

**accèdere** *v* შესვლა, შეღწევა.

**acceleràre** *v* დაჩქარება; სიჩქარის მომატება; ~ **il passo** ნაბიჯის მომატება, ნაბიჯის აჩქარება.

**acceleràta** *f* აქსელერატორზე ფეხის დაჭერის ჰროცესი.

**acceleràto** 1. *agg* აჩქარებული; 2. *m* საგარეუბნო მატარებელი.

**acceleratóre** *m ტექნ.* აქსელერატორი.

**accelerazióne** *f* აჩქარება, დაჩქარება, სიჩქარის მომატება.

**accènder||e** *v* 1) ანთება; ~ **la luce** სინათლის ანთება; ~ **una sigaretta** სიგარეტის მოკიდება; ~ **la stufa** ღუმელის დანთება; 2) ჩართვა; ~ **il motore** მოტორის დაქოქვა; ~ **la radio** რადიოს ჩართვა; 3) *ჯად. მწ.* ანთება, აალება, ცეცხლის მოკიდება, აგზნება; 4) *ფინ.*: ~ **un conto** ანგარიშის გახსნა; ~ **si** ცეცხლის მოკიდება, აალება, ანთება (*აგრ. ჯად. მწ.*); ~ **si il sangue** გააფთრება, გაცეცხლება, გამძვინვარება.

**accendigàs** *m* გასქურის სანთებელა.

**accendino** *m* სანთებელა.

**accendisigaro** *m* სანთებელა.

**accennàre** *v* 1) მინიშნება; მითითება; თითოთ ჩვენება; ~ **di sì** თანხმობის ნიშნად თავის ქნევა; ~ **di no** უარყოფის ნიშნად თავის გაქნევა; 2) ~ (*a qd, a qc*) სიტუების გადაკვრა, მინიშნება.

**accénno** *m* ნართაული სიტუება, გადაკრული სიტუება, ნიშანი, ქარავმა.

**accensióne** *f ტექნ.* ანთება; ანთების სისტემა.

**accentàre** *v* მახვილის დასმა, აქცენტის გაკეთება (*აგრ. ჯად. მწ.*).

**accentàto** *agg* მახვილიანი; აქცენტირებული.

**accènt||o** *m* 1) მახვილი, მახვილის ნიშანი; 2) აქცენტი, გამოთქმა, წარმოთქმა; ~ **straniero** უცხოური აქცენტი; 3) ტონი, ინტონაცია; 4) *pl* ~ **i** თემა, ნოტი, მოტივი; 5) *pl* ~ **i** სიტუები, გამოთქმები.

**accentraménto** *m* გაერთიანება, თავმოყრა, კონცენტრაცია.

**accentràr||e** *v* გაერთიანება, თავმოყრა; ~ **il potere nelle mani di qd** ძალაუფლების ერთი ზიროვნების ხელში მოქცევა; ~ **si** კონცენტრირება, თავმოყრა; ~ **si di poteri** ძალაუფლების კონცენტრირება.

**accentuàr||e** *v* აქცენტის გაკეთება, ურადლების გამახვილება, საზგასმა, გამოკვეთა; ~ **si** გაძლიერება, გამძაფრება, გამწვავება; **la crisi si accentua** კრიზისი მწვავდება.

**accerciaménto** *m* 1) გარემოცვა, გარშემორტემა; 2) *საძვ.* გარშემორტემა, ალყის შემორტემა.

**accercchiàr||e** *v* გარშემოსხვევა, გარშემორტემა; ~ **si** გარშემორტემა; ~ **si di buoni amici** კარგი მეგობრებით გარშემორტემა.

**accertaménto** *m* 1) დარწმუნება, რწმუნება; 2) დადგენა, გამოკვლევა; შემოწმება, გადამოწმება, კონტროლი.

**accertàr||e** *v* 1) დამოწმება, დადასტურება, დარწმუნება; 2) დადგენა, გამოკვლევა; შემოწმება, გაკონტროლება; ~ **si (di qc)** (*რაიმეში*) დარწმუნება.

**accés||o** *agg* 1) კაჰაჰა, სასხასა; ავიზიციებული, აბრიალებული; **colore** ~ სასხასა, მკვეთრი ფერი; ~ **d'amore** სიყვარულით აგზნებული; 2) *ჯად. მწ.* ფიცხი, მგზნებარე, მხურვალე; **questione** ~ **a** გაცხარებული კამათი; **la lampada è** ~ **a** ნათურა ანთია.

**accessibile** *agg* აღვილად მისადგომი, მისაწვდომი; ხელმისაწვდომი; ~ **a tutti** ყველასათვის მისაწვდომი, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი.

**accésso** *m* 1) შესვლა, შეღწევა; მიდგომა, მისვლა; ~ **libero** თავისუფალი შესვლა; 2) *მედ.* შეტევა; **in un** ~ **d'ira** განრისხებული; განრისხებულმა.

**accessòr||io** 1. *agg* დამატებითი; მეორეხარისხოვანი, არამირითადი, არამთავარი; 2. *m* 1) კერძო რამ, დეტალი; 2) დეტალი, აქსესუარი;

*pl* ~i მოწუობილობა; აპარატურა; არმატურა.

**accétta** *f* ცუდი, ნაჯახი;  $\diamond$  uomo fatto coll'~ ხეპრე, გაუთლელი ადამიანი; darsi l'~ sui piedi საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენება.

**accettare** *v* 1) მიღება; მოწონება; დათანხმება; ~ un dono საჩუქრის მიღება; 2) დაშვება, აღიარება, ცნობა.

**accettazióne** *f* 1) მიღება; 2) მოწონება; დათანხმება; დაშვება, აღიარება; წერილობითი თანხმობა.

**acchiappafarfallè** *m* ზეპლის საჭერი ბადე.

**acchiappamósche** *m* ბუხის საკლავი.

**acchiappare** *v* 1) ჭერა, დაჭერა, შეპერობა; წაუღება, ტაცება, მოკიდება; 2) *საუბრ.* გამოჭერა; გაცურება.

**acciaccàr|le** *v* დასნეულება; დაუძღურება, ძალების გამოცლა, დასუსტება; ~si : ~si un dito თითის დაშავება.

**acciàcco** *m* ავადმყოფობა, სენი, სნეულება.

**acciaieria** *f* ფოლადსახსმელი ქარხანა.

**acciào** *m* ფოლადი.

**accidèmpoli!** *inter.* ეშმაკმა დალახვროს!, ეშმაკმა წაიღოს!, ესეც კაი ამბავი!, ესეც ახალი ამბავი!

**accidentàle** *agg* შემთხვევითი; მოულოდნელი, უცაბედი; საბედისწერო.

**accidentàto** *agg* 1) ოღრო-ჩოდრო; არასწორი, უსწორმასწორო; terreno ~ ოღრო-ჩოდრო ადგილი, მიწა; 2) სასიფათო, მოულოდნელობებით, დაბრკოლებებით სავსე; un viaggio ~ მოულოდნელობებით, დაბრკოლებებით სავსე მოგზაურობა.

**accidente** *m* შემთხვევა, უბედური შემთხვევა; ავარია; per ~ შემთხვევით;  $\diamond$  accidenti a te! ეშმაკმა წაგიღოს!

**accidenti!** *inter.* ეშმაკმა დალახვროს!, ეშმაკმა წაიღოს!, ჯანდაბას!

**accidia** *f* 1) დაუდევრობა, არამუეაითობა, უსულგულობა; 2) სისარმაცე, სისანტე.

**accidióso** *agg* ზარმაცე, ზანტი; დაუდევარი, არამუეაითი, უსულგულო.

**acciecàre** *v* *ob.* accecare.

**accigliàrsi** *v* წარბების შეჭმუხვნა; დამწუხრება.

**accigliàto** *agg* მოწყენილი, მწუხარე, დამწუხრებული; viso ~ მოწყენილი, მწუხარე სახე.

**accipicchia!** *inter.* ეშმაკმა დალახვროს!, ეშმაკმა წაიღოს!, ჯანდაბას!

**acciuffàr|le** *v* დაჭერა, დაკავება, შეპერობა; ~ il ladro ქურდის დაჭერა; ~si ერთმანეთში წაკამათება, წახსუება, ერთმანეთის თმებით დათრევა.

**acciùga** *f* ზოლ. ანჩოუსი; ქარხალა, ქაფშია, ქამსა.

**acclamàre** *v* 1) ხმამაღალი შემახილებით (ან ტაშისცემით) მისაღმება; 2) ქება, სოტბის შესმა; 3) ერთხმად არჩევა.

**acclamazióne** *f* 1) მისასაღმებელი შემახილები, ტაშისცემა მისაღმების ნიშნად; 2) ერთსულავენად, ერთხმად არჩევა.

**acclimatàrsi** *v* აკლიმატიზება, ახალ, უჩვეულო კლიმატურ ჰირობებთან შეგუება (*ავრ. გად. მნ.*).

**acclimatazióne** *f* აკლიმატიზაცია.

**acclimazióne** *f* *ob.* acclimatazióne.

**acclùdere** *v* დართვა, თანდართვა; **accludo una lettera al pacco** ამანათს ვურთავ წერილს.

**acclùfo** *agg.* თანდართული, დართული.

**accoccolàrsi** *v* ჩაცუცქული ჯდომა, ჩაცუცქება, დაუხვცვა.

**accoccolàto** *agg* ჩაცუცქული, დაუხვცული.

**accodàrsi** *v* რიგში ჩადგომა, რიგის დაკავება; **ci accodammo davanti alla cassa** საღაროს წინ რიგში ჩავდექით.

**accogliènte** *agg* სტუმართმოყვარე; მოხერხებული, მეუღრო; **casa** ~ მეუღრო ბინა; სტუმართმოყვარე სახლი; **poltrona** ~ მოხერხებული სავარძელი.

**accogliènta** *f* შესვედრა, მიღება.

**accogliere** *v* 1) მიღება, შესვედრა, დახვედრა; ~ con fischi სტვენით შესვედრა; 2) მიღება, მოწონება; ~ una proposta წინადადების მიღება, წინადადებაზე დათანხმება; 3) შეცვა, დატევა; **lo stadio può ~ centomila spettatori** სტადიონს ასიათასი მაყურებლის დატევა შეუძლია.

**accoglimento** *m* შესვედრა, მიღება; ~ di una proposta წინადადების მიღება.

**accollàrsi** *v* თავის თავზე აღება, საკუთარ თავზე დაკისრება; **si accollò tutte le spese** ეველა სარჯი თავის თავზე აიღო, თავად იკისრა ეველა სარჯი.

**accollàt|lo** *agg* დასურული (*ფეხსაცმელი, ტანსაცმელი*); **una camicetta** ~a ეველამდე და-

ხურული კოფთა; *scarpa* ~a დახურული ფეხსაცმელი.

**accoltellàre** *v* დაჭრა, დანით დაჭრა, უელის გამოჭრა.

**accoltellàto** *agg* დანით დაჭრილი.

**·accom(m)iatàr||e** *v* 1) გაცილება (*სტუმრებისა და მიხთ.*); ~ *l'ospite con un sorriso* დიმილით სტუმრის გაცილება; 2) გაშვება, დათხოვნა; ~*si* 1) დამშვიდობება; 2) შევბუღების აღება, შევბუღებაში გასვლა.

**accomodaménto** *m* შეთანხმება, საქმის მშვიდობიანად გადაწყვეტა, გადაჭრა; *siamo arrivati ad un* ~ შეთანხმებას მივღვწიეთ, ურთიერთშეთანხმებამდე მივედით.

**accomodànte** *agg* 1) შემრიგებლური, შემთანხმებლური, 2) რბილი, დამოლდი, შემნდობი, დამთმობი.

**accomodàr||e** *v* 1) შეკეთება; შესწორება, გასწორება; მოწესრიგება, დალაგება, მილაგება; 2) მოწეობა (*ხაძახურში და მიხთ.*); 3) მოგვარება; შორიგება; ~ *gli affari საქმეების მოგვარება*; 4) ხელსაყრელობა, მოწონება; *ciò non m'accomoda* ხელს არ მამკლავს; ~*si* 1) შეთანხმება; ~*si per il prezzo* ფასზე შეთანხმება, ფასზე მოლაპარაკება; 2) შეგუება, შეთვისება, შეწეობა; *tutto s'accomoda* ეველაფერი მოგვარდება; 3) მოწეობა, მოკალათება; *s'accomodi!, accomodatevi!* მობრძანდით!, დაბრძანდით! ◊ ~*si lo stomaco* ა) გამკლავა; ბ) გამოჩინა, ხეირის ნახვა, ხელის მოთბობა.

**accompagnaménto** *m* 1) თანხლება; 2) კორტეჟი, ზროცესია; თანხლები ზირები; ამაღა; 3) *ხაძ.* ბადრაგა, ესკორტი; 4) *მუს.* აკომპანემენტი.

**accompagnàre** *v* 1) თანხლება; გაცილება; ~ *alla stazione* ვაგხალზე გაცილება; 2) *მუს.* აკომპანიატორობის გაწევა.

**accompagnatóre** *m* 1) გამცილებელი; თანხლები; 2) *მუს.* აკომპანიატორი.

**accomunàre** *v* 1) განზოგადება; გათანახლოება; 2) დაახლოება, გათანაბრება.

**aconciàr||e** *v* 1) შეკეთება; გასწორება, გამოსწორება; მოწესრიგება; დალაგება, მილაგება; ~ *i capelli a qd* ვინმეს დავარცხნა; 2) მოგვარება, მოწესრიგება; 3) მოწეობა (*ხაძახურში*);

~*si* 1) თავის მოწესრიგება; მოკოხტავება; 2) მზადება (*რაიმესთვის*); 3) შეწეობა, შეგუება; მიჩვევა.

**acconciatùra** *f* ვარცხნილობა; ◊ *perdere l'* ~ შემთხვევის ხელიდან გაშვება.

**accondiscendènte** *agg* შემნდობი, დამთმობი; *una persona* ~ შემნდობი, დამთმობი ზიროვნება.

**accondiscèndere** *v* დათანხმება, თანხმობის მიცემა.

**acconsentire** *v* (*a qc*) დათანხმება, თანხმობის მიცემა; ◊ *chi tace, acconsente* დუმილი თანხმობის ნიშანია.

**acconsenziènte** *agg* თანახმა.

**accontentàr||e** *v* დაკმაყოფილება; სიამოვნების მინიჭება, აძება; ~*si* დაკმაყოფილება, დაჯერება.

**accónto** *m* ბე, წინასწარ მისაცემი თანხა.

**accoppiaménto** *m* 1) დაწვეილება; 2) შეწვეილება, დაწვეილება (*ცხოველებისა*); სქესობრივი კავშირი.

**accoppiàr||e** *v* დაწვეილება, შეწვეილება (*ცინძეხი, რაიმეხი*); ~*si* დაწვეილება (*ცეკვისას*); შეწვეილება (*ცხოველებისა*).

**accoraménto** *m* დარდი, ნაღველი, სევდა, მწუხარება.

**accoràto** *agg* მწუხარე, ნაღვლიანი, დარდიანი, სევდიანი; დაღონებული, მოწვენილი; დაღვრემილი; გულმოკლული, დარდით დანადგურებული.

**accorciàre** *v* დამოკლება, შემცირება.

**accordàre** *v* 1) შეთანხმება; შერიგება; მოგვარება (*დავისა*); 2) ნების დართვა, დაშვება; 3) მიცემა, წუალობა, ჩუქება; ~ *la grazia* შეწყალება, ჰატიება; 4) *მუს.* რადიო აწეობა; დაუენება.

**accordo** *m* 1) თანხმობა; სიამტკბილობა, შეთანხმება; ჰარმონია; *andare d'~* შეთანხმებულად, სიამტკბილობით ცხოვრება; *essere d'~* დათანხმება; *andare d'amore e d'~* სიყვარულითა და სიამტკბილობით ცხოვრება; *d'~!* თანახმა ვარ!, კარგი!; *mettersi d'~ con qd per qc* ვინმესთან რაიმეზე შეთანხმება, შორიგება; 2) შეთანხმება; ხელშეკრულება, ჰაქტი; *fare un* ~ ხელშეკრულების დადება; 3) *მუს.* აკორდი; ◊ *andare d'~ come cani e gatti* ძაღლი და კატასავით ცხოვრება.

**accòrgersi** *v* (*di qc*) 1) შეძენება, დანახვა (*რამის*); 2) მიხვედრა, გაგება.

**accórrere** *v* მორბენა, მოცვივნა, მოვარდნა.

**accortézza** *f* გამჭრიახობა, შორსმჭვრეტელობა; წინდახედულობა.

**accòrto** *agg* გამჭრიახი, შორსმჭვრეტელი; წინდახედული.

**accostàr||e** *v* 1) მიასლოება, მიწვევა; დასლოება; 2) მიხურვა, მოხურვა, გამოხურვა; ~ *l'uscio* კარის გამოხურვა; ~ *si* (*a*) მიასლოება, დასლოება.

**accòsto** *avv* ახლოს, მასლობლად, გვერდით, გვერდზე, იქვე.

**accovacciàrsi** *v* ჩაცუცქვა.

**accozzàglia** *f* ხროვა, გროვა; ბანდა; *un' ~ di delinquenti* დამნაშავეთა ხროვა.

**accreditàre** *v* 1) *დიპლ.* რწმუნებით აღჭურვა, რწმუნების სიგელის მიცემა; ~ *un diplomatico* დიპლომატის აკრედიტება; 2) ფინ. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა, თანხის გადარიცხვა.

**accreditàto** *agg* აკრედიტებული, წარმომადგენლად დანიშნული; *ambasciatore ~ presso il governo italiano* იტალიის მთავრობის მიერ აკრედიტებული ვლჩი.

**accrésce** *v* გადიდება, მომატება, გაზრდა (*როდენობრივი*); გაძლიერება.

**accresciménto** *m* გადიდება, გაზრდა, მომატება; მატება, ნამატი; გაძლიერება; ~ *della popolazione* მოსახლეობის ნამატი.

**accucciàrsi** *v* ჩაცუცქვა.

**accucciolàrsi** *v* იხ. *accucciàrsi*.

**accudire** *v* მიხედვა, თვალუურის დევნება; ~ *alla casa* საოჯახო საქმის კეთება, ოჯახში ფუსფუსი.

**accumulàre** *v* 1) დაგროვება, შეგროვება, მოგროვება; ~ *denari* ფულის დაგროვება; 2) დასორავება, გროვად დაურა; 3) *ფიზ.* აკუმულირება.

**accumulatóre** *m* ტექნ. აკუმულატორი.

**accumulazióne** *f*, დაგროვება; აკუმულაცია, აკუმულირება.

**accùmulo** *m* იხ. *accumulazióne*.

**accuratézza** *f* გულმოდგინება; აკურატულობა, სიზუსტე.

**accuràto** *agg* გულმოდგინე, აკურატული; ზუსტი.

**accùfa** *f* 1) ბრალდება; 2) *იურ.* ბრალდება.

**accusàre** *v* : ~ *qd di qc* ბრალის დადება (*რამიძე*).

**accusàto** *m* ბრალდებული.

**acerbàre** *v* გამწვლარტება, დამკვება.

**acerbità** *f* 1) სიმწვლარტე, სიმკვავე; 2) *გად.ძნ.* სიმკაცრე, უხეშობა, სიმკვეთრე.

**acèrbo** *agg* მოუძწიფებელი, უძწიფარი, მკვასე; მკვავე, მწვლარტე;  $\diamond$  *nemico* ~ დაუძინებელი მტერი.

**àcero** *m* ბოტ. ნეკერჩხალი.

**acèrrimo** *agg* (*acre-ს აღმატებითი ხარისხი*) 1) უმკვავესი; უმწვლარტესი; უცხარესი (*კემო*); 2) უმკვეთრესი, უძმაფრესი (*ხუნი*); უძწარესი (*ავრ.გად.ძნ.*); 3) *გად.ძნ.* უძმაფრესი, უმკვეთრესი; *nemico* ~ დაუძინებელი მტერი.

**acéto** *m* მძარი; *sotto* ~ მარინადში ჩადებული.

**acetóne** *m* ქიმ. აცეტონი.

**acetósa** *f* ბოტ. მკაუნა.

**acidità** *f* 1) სიმკვავე, მკავიანობა; 2) *გად.ძნ.* სიმწვავე; ~ *di stomaco* კუჭის წვა; ~ *di carattere* ხასიათის სიმწვავე.

**ácido** 1. *agg* მკავე; 2. *m* მკავა; ~ *muriatico* მარილმკავა.

**acídulo** *agg* მომკავო, შემკავებელი.

**àcqu||a** *f* 1) წყალი; ~ *dolce* მტკნარი წყალი; ~ *potabile*, ~ *da bere* სასმელი წყალი; ~ *cruda*, ~ *dura* ხისტი წყალი; ~ *gassosa* გაზიანი წყალი; ~ *bollita* ადუღებული წყალი; 2) *pl* -*e* წყლები, წყლის სივრცე; ~*e territoriali* (~*e nazionali*) ტერიტორიული წყლები; 3) წვიმა; ~ *a catinelle* (~ *a rovesci*), (~ *a dirotto*), (~ *come Dio la manda*) კოკისპირული წვიმა, თავსხმა; 4) *ბიოლ.*, *ფიზიოლ.* სითხე, ტენი, სანაუოფე წყლები; 5) *ქიმ.* ხსნარი;  $\diamond$  ~ *di Colonia* ოდეკოლონი; *portare ~ col panier* წყლის ნაუვა; *pescare nell' ~ torbida* მღვრიე წყალში თევზის ჭერა; ~ *in bocca*! არავის უთხრა!; ჰირში წყალი ჩაიგუბე!; *avere l' ~ alla gola* გამოუვალ მდგომარეობაში ეოფნა; *tirare l' ~ al proprio mulino* საკუთარ წისქვილზე წყლის დასხმა; *fare ~ da tutte le parti* ნგრევის, დაღუპვის ჰირას ეოფნა, კრიზისში ეოფნა; *essere come un pesce fuor d' ~* შეუჩვეველ, უცხო გარემოში ეოფნა; *fare un buco nell' ~* უშედეგოდ გარჯა.

**acquàio** *m* 1) ბაკანი (*სამზარეულოში*); 2) ჩასადენი ღარი.

**acquerello** *m* იხ. *acquerello*.

**acquario** *m* აკვარიუმი.

**acquaticco** *agg* წყლისა; *piante* ~*che* წყალ-  
მცენარეები.

**acquavite** *f* არაუი.

**acquazzone** *m* კოკისპირული წვიმა, თავსხმა.

**acquedotto** *m* 1) წყალსადენი; 2) აკვედუკი.

**acquerello** *m* 1) აკვარელით ხატვის ხელოვნუ-  
ბა; 2) აკვარელი, აკვარელით ნახატი სურათი.

**acquirente** *m,f* მიიღველი.

**acquistare** *v* 1) მიღება, მოზოვება (*უფლებიხა*  
*და მიხ.*); ~ *la cittadinanza* მოქალაქეობის მიღე-  
ბა; 2) *გად.მნ.* შეძენა, მოზოვება, მოხვეჭა.

**acquifazione** *f* შეძენა, მოზოვება, მოხვეჭა.

**acquistare** *v* შეძენა, ეიღვა.

**acquistare** *m* შენაძენი; ნაყიდი; ნავაჭრი;  
*uscire per* ~ *i* საყიდლებზე წასვლა; *far* ~ *di qc*  
რისამე ეიღვა, შეძენა.

**acquitrino** *m* ტბორი, კუბე; დაჭაობებული  
ადგილი.

**acquitrinoso** *agg* ჭაობიანი; დაჭაობებული;  
*terreno* ~ ჭაობიანი მიწა.

**acquolina** *f* თქორი;  $\diamond$  *mi viene l'~ in boc-*  
*ca!* ნერწყვი მომდის; *quella torta mi ha fatto*  
*venire l'~ in bocca!* ამ ტორტმა ნერწყვი მო-  
მდინა.

**acquoso** *agg* 1) წელიანი, წელით სავსე; 2)  
წელიანი, წყალწველა, წყალნარევი.

**acre** *agg* 1) მკავე; მწკლარტე; ცხარე (*გემო*);  
2) მკვეთრი, მძაფრი (*სუნი*); მწარე (*ავრ. გად.მნ.*);  
3) *გად.მნ.* მძაფრი, მკვეთრი.

**acredine** *f* 1) სიმკავე, სიმწკლარტე; 2) სიმკვე-  
თრე, სიმძაფრე (*სუნიხა*).

**acrilico** *m* აკრილის ქსოვილი.

**acrobata** *m,f* აკრობატი.

**acrobazia** *f* აკრობატიკა.

**acuire** *v* გამძაფრება, გამახვილება (*ავრ.*  
*გად.მნ.*); ~ *il desiderio* სურვილის გამძაფრება;  
~ *l'ingegno* გონების გამახვილება; ~ *si* გამძაფ-  
რება, გამძლიერება, განზრდა, მატება; *il dolore si*  
*è acuito* ტკივილი გამძაფრდა.

**acume** *m* სიმახვილე (*გონებისა, მხედველო-*  
*ბისა*), გამჭრიახობა.

**acuminare** *v* ვალესვა, გამახვა.

**acuminato** *agg* წვეტიანი, წაწვეტებული,  
წამახული.

**acustica** *f* ფიზ. აკუსტიკა; სმენადობა (*შე-*  
*ნობაში*); *una sala con ottima* ~ კარგი აკუს-  
ტიკის მქონე დარბაზი.

**acutézza** *f* 1) სიმძაფრე, სიმახვილე; ~ *visiva*  
მხედველობის სიმახვილე; 2) გამჭრიახობა,  
სიმახვილე; ~ *d'ingegno* გონების გამჭრიახობა,  
გონებამახვილობა.

**acutizzarsi** *v* გამძაფრება, გაღრმავება; *la*  
*crisi si è acutizzata* კრიზისი გაღრმავდა.

**acuto** *agg* 1) ბასრი, მახვილი, ვალესილი;  
წვეტიანი, წამახვილებული, წაწვეტებული; *an-*  
*golo* ~ მახვილი კუთხე; 2) მკვეთრი, მძაფრი,  
მწვავე (*ავრ.გად.მნ.*); *dolore* ~ მწვავე ტკივილი;  
3) *მუს.* მაღალი; 4) *გად.მნ.* მახვილი; გამჭრიახი;  
*mente acuta* გამჭრიახი გონება.

**adagiare** *v* ფრთხილად დაწვენა, ფრთხილად  
დადება; ~ *un bambino sul letto* ბავშვის სა-  
წოლზე დაწვენა; ~ *si* წამოწოლა, მოხერხებუ-  
ლად დაწოლა; ~ *si sul divano* დივანზე წამოწო-  
ლა.

**adagio** *1. avv* 1) ნელა; *andare* ~ ნელა სიარუ-  
ლი; 2) ჩუმი, ხმადაბლა; 3) ფრთხილად; **2. m**  
*მუს.* ადაჯიო.

**adattamento** *m* შეკუება, მომარჯვება, მორგე-  
ბა; ადაბტაცია.

**adattare** *v* შეკუება, მომარჯვება, გამოეწე-  
ბა; მორგება; ~ *si* (*a qc*) შეკუება, შეწოება (*რაიმეს*).

**adatto** *agg* გამოსადეგი, შესაფერი; ხელსაყრე-  
ლი, სათანადო; ადაბტირებული, მორგებული.

**addebitare** *v* 1) ვალად მიცემა, სესხად მიცე-  
მა; 2) *გად.მნ.* დადანაშაულება, ბრალის დადება.

**addebito** *m* 1) ვალად ჩაწერა, ვალად ჩათუ-  
ლა; 2) დანაშაულად ჩათვლა; დადანაშაულება;  
*muovere un* ~ *a qd* ვინმეს დადანაშაულება;  
ვინმესთვის ბრალის დადება, დაბრალება.

**addensarsi** *v* განშირება; გაბევრება, გან-  
ზრდა (*რაოდენობრივად*); *la folla si* ~ *ava nella*  
*piazza* მოედანზე ხალხი იმატებდა, ხალხის  
რაოდენობა იზრდებოდა; *la nebbia si è* ~ *ata*  
*sulla valle* ნისლი ხეობაში განშირდა, განქეიდა.

**addentare** *v* კბენა; მოკეჩა; კბილის ჩარჭო-  
ბა, კბილის ჩასობა.

**addentrarsi** *v* მივნით შესვლა, შეღწევა.

**addentro** *avv* 1) ღრმად, სიღრმეში; *scavare*  
*più* ~ უფრო ღრმად თხრა; 2) *გად.მნ.* ღრმად,



საფუძვლიანად; *essere molto* ~ *a qc* რისამე ძალიან დრმად ცოდნა, რისამე საფუძვლიანად ცოდნა.

**addestramento** *m* 1) სწავლა, სწავლება; გაწვრთნა, წვრთნა; 2) ცხოველების წვრთნა.

**addestrare** *v* 1) სწავლება, სწავლა; წვრთნა, წაფვა, გავარჯიშება; 2) ცხოველების წვრთნა, გასედნა; ~ *un cavallo* ცხენის გასედნა.

**addétto** 1. *agg* (~ *a qc*) განკუთვნილი; დანიშნული; 2. *m* ატაძე; ~ *stampa* პრეს-ატაძე; ~ *militare* სამხედრო ატაძე.

**addiaccio** *m*: *all'* ~ ღია ცის ქვეშ; *dormire all'* ~ ღია ცის ქვეშ მილი.

**addietro** *avv* 1) წინ; ადრე; *alcuni giorni* ~ რამდენიმე დღის წინ; რამდენიმე დღით ადრე; 2) უკან; *restare* ~ უკან დარჩენა, ჩამორჩენა.

**addio** *m* დამშვიდობება; *dire* ~ დამშვიდობება; *dire* ~ *a qc* რაიმესთან გამომშვიდობება; ~! მშვიდობით!

**addirittura** *avv* 1) ზირდაზირ, უშუალოდ; 2) უთუოდ, უსათუოდ, უდავოდ, უცილობლად; *სავსებით, ზირდაზირ, მართლაც რომ (საუბრისას);* *è* ~ *impossibile* ეს აბსოლუტურად შეუძლებელია; 3) დაუყოვნებლივ, უცებ, უცბად; ~! ოჰო!, აი, თურმე!

**additare** *v* თითით ჩვენება; მითითება.

**addivenire** *v* მისვლა, მიღწევა. ~ *ad un accordo* შეთანხმების მიღწევა, შეთანხმებამდე მისვლა.

**addizionale** *v* მათ. შეჯამება, დაჯამება; შეკრება.

**addizione** *f* მათ. შეჯამება; შეკრება.

**addobbare** *v* მორთვა, მოკაზმვა.

**addolcir||e** *v* 1) დატკბობა, გატკბილება, დაშაქვრა; 2) *ვად.მწ.* შერბილება; შენელება, განელება; *◊* ~ *si la bocca* ზირის ჩატკბარუნება; ~ *una persona* ვინმეს გულის მონადირება, გულის მოგება.

**addolorare** *v* გულისტკენა, წყენინება, დანაღვლიანება.

**addome** *m* ანატ. მუცლის დრუ.

**addomesticare** *v* მოშინაურება, მოთვინიერება (*ცხოველებისა*).

**addomesticato** *agg* მოშინაურებული, მოთვინიერებული; მორჩილი.

**addormentar||e** *v* დამინება; ძილის მოგვრა; ~ *si* დამინება, ძიძინება, ჩამინება.

**addossar||e** *v* 1) ზურგზე აკიდება; დატყვავა; 2) ~ *qc a qd* *ვად.მწ.* თავს მოსხვევა, აკივავა; 3) ~ *a qc* მიუდგება, მიერდნობა; ~ *si* 1) სავსებით თავზე აღება (*დანაშაულის, ჰასუხისმგებლობის მიხედვით*); 2) ~ *si a qd* (*a qc*) მიუდგება, მიერდნობა; 3) ძლიერ ახლოს დგომა; ერთმანეთს მიკრება, დგომა.

**addosso** *avv*: *mettere qc* ~ რაიმეს ჩაბრუნება; *avere il diavolo* ~ ავსნებული ეოფნა; ეძინება, შეჩენა.

**adeguamento** *m* გათანაბრება; ~ *degl'impensi al costo della vita* საბაზრო ფასების შედგენის გათანაბრება.

**adeguare||e** *v* 1) გათანაბრება, გათანაბრება; 2) შესაბამისობაში მოყვანა; ~ *si* შეფარება, შეწყობა, შეკუება, ადაპტირება; მორგება.

**adeguato||o** *agg* 1) ადეკვატური, სრული შესაბამისი, სრული შესატყვისი; *trovare le parole* ~ შესაბამისი სიტყვების მოძებნა; 2) შესაფერისი; *un albergo* ~ *all'ospite* სტუმრის შესაფერი სასტუმრო.

**adempier||e** *v* შესრულება, ასრულება; *desiderio* სურვილის ასრულება; ~ *un dovere* მოვალეობის მოხდა; ~ *una promessa* დაპირების შესრულება; ~ *si* ასრულება, ასდენა; *la sua* ~ *fezia si adempi* წინასწარმეტყველება ასრულდა.

**adempimento** *m* შესრულება, ასრულება.

**adempire** *v* შესრულება.

**aderente** 1. *agg* მიმდებარე; 2. *m.f* მომხმარებელი, მიმდევარი; წევრი (*ახორციელებლის მიხედვით*).

**aderenza** *f* შეერთება, შემოერთება, მიმდებარეობა.

**aderire** *v* (*a qc*) შემოერთება, შეერთება; *far* ~ *a qc* რაიმეში ჩაბმა, გაერთიანება.

**adescamento** *m* 1) მოხიზვლა, შეცდომაშიყვანა; 2) სატყუარა, საცდური.

**adescare** *v* 1) შემოტყუება, სატყუარი მოხიზვლა; 2) *ვად.მწ.* მოხიზვლა, შეცდენა; ~ *una gazza* ქალიშვილის გამოტყუარა, ანკესზე წამოტყუარა.

**adefione** *f* შემოერთება, შეერთება, მიმდებარეობა; თანხმობა.

**adefivo** 1. *agg* წებოვანი; მწებოვარე; წებოვანი, წებოვანი ნივთიერება.